

კ @ ვკ აზნია

გენდერულ ჟურნალისტთა საერთაშორისო კოალიცია

საერთაშორისო
საინფორმაციო-ანალიტიკური
ელექტრონული ჟურნალი
გამოცემის წელი – მესამე
2007, №1, იანვარი

ნომრის თემა: გენდერი და შრომა

სარჩევი

მსოფლიო	უნილავი ფრონტის მებრძოლენი მათ არათუ მედლებს არ აძლევენ, ელემენტარულად, არც კი უხდიან
სომხეთი	ოჯახის სიმყუდროვე ბვირია
აშშ	უთვალავი ფული, რომელსაც თურმე დიასახლისები შოულობენ
რუსეთი	სუპერშემოსავალი, რომელიც არ ჩანს
დიდი ბრიტანეთი	პრიალა ჟურნალების ზომბები სიცოცხლეს სიწმინდის საკურთხეველზე დებენ
უკრაინა	ვინ აგებს პასუხს ბაზარზე? ბაზრის მანჭვები
ყირგიზეთი	ახალი როლი ქალებს ძველისაგან არ ათავისუფლებს
საქართველო	„საკუთარი“ ადგილი იძულებითი ვაჭრობა, როგორც გადარჩენის საშუალება
რუსეთი	ავტო-ლედი და ქმარი ერთი საათით რალაც ახალი შრომის ბაზარზე
საქართველო	ფუფუნების ვირუსი ლატარეები და კონკურსები სულ უფრო გვიტრევენ
უკრაინა	რეპორტიორი ცუდი სამუშაო
ესტონეთი	სიცოცხლე რისკის ზონაში მდიდარზე გათხოვილი
საქართველო	ყველაფრის პატიება შეიძლება წარმატების გარდა



ფოტო დიანა პეტრიაშვილისა, საქართველო

გენდერი და შრომა

სახლში ჯდომა

- რად მუშაობთ?
- ფერმერი ვარ.
- შვილები გყავთ?
- მადლობა ღმერთს.
- თქვენი ცოლი მუშაობს?
- არა, სახლში ზის.
- გასაგებია. მერე და როგორ ატარებს დღეს?
- ისე. დილით ოთხ საათზე დგება, მოაქვს წყალი და შეშა, ანთებს ცეცხლს, ამზადებს საუზმეს, აწესრიგებს ეზოს. მერე მდინარეზე მიდის და რეცხავს. შემდეგ ორ უმცროს ბავშვთან ერთად გზის პირზე სავაჭროდ მიდის. შემდეგ ყიდულობს ყველაფერს, რაც ოჯახს სჭირდება და ამზადებს სადილს.
- თქვენ სახლში სადილობთ?
- არა, ცოლს მოაქვს მინდორში, სახლიდან დაახლოებით სამ კილომეტრზე.
- მერე?
- მერე ჩემთან რჩება და სარეველების გამარგვლაში მესმარება, მერე მიდის და ბოსტანს რწყავს.
- თქვენ რას აკეთებთ?
- მე სოფელში უნდა გავიდე, საქმეები გავარჩიო, დავლიო მეგობრებთან.
- შემდეგ?
- სახლში მივდივარ სავაჭროდ, რომელიც ცოლმა მომიზადა.
- ვაჭრობის შემდეგ იგი დასაძინებლად წვება?
- არა, მე ვიძინებ, ის კი 9-10 საათამდე საოჯახო საქმეებს ამთავრებს.
- მგონი, თქვენ თქვით, რომ თქვენი ცოლი არ მუშაობს?
- რა თქმა უნდა, არ მუშაობს. ხომ გითხარით, სახლში ზის.

მასალა სესიისათვის „ოჯახური შრომა“ გენდერულ განათლებაში გამოგზავნილია ნურჟან ტულევა-ბილოვას მიერ ყირგიზეთიდან

რამდენს

არ

გამოვიძუშავებთ?



ფოტო უმიდა ახმედოვასი, უზბეკეთი

მოდით, ყოველი შემთხვევისათვის, გამოვითვალოთ

მასალა მომზადებულია თამარ ოვნათანიანის მიერ, სომხეთი

სომხეთი:

საოჯახო საქმეებზე ქალები 5-ჯერ უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე მამაკაცები

ბოლო დრომდე ქალის საოჯახო შრომა შეფასებული არ იყო და არ აისახებოდა ეროვნულ სტატისტიკურ მონაცემებში. დროის განაწილების სტრუქტურის კვლევა, რომელიც ახლანან განხორციელდა სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შედეგების განვითარების სააგენტოს დახმარებითა და მეთოდიკით, ამ მხრივ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ქალის საოჯახო საქმიანობის რეალურ შეფასებაზე ჯერ კიდევ ადრეა საუბარი, იგი კვლავინდებურად „დაუფასებლად“ რჩება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, რადგან მისი საფასურის გადახდა ჯერ აზრადაც არავის მოსვლია, მაგრამ ძვრა პრობლემის გაგებაში მაინც სახეზეა. კვლევამ ნათელი სურათი მოგვცა დროისა, რომელიც მამაკაცებისა და ქალების მიერ ანაზღაურებად და არაანაზღაურებად (საოჯახო) საუშაოზე იხარჯება. ასე, მაგალითად, მოგების მომტან შრომაზე ქალები ყოველდღიურად საშუალოდ 1 საათსა და 44 წუთს ხარჯავენ, მამაკაცებში კი ეს მაჩვენებელი 5 საათსა და 18 წუთს უტოლდება. სოფლებში დასაქმებულობის სტრუქტურაში დროის მცირე ნაწილი ეთმობა საკუთარ ან იჯარით აღებულ ნაკვეთზე შრომას და პირუტყვის მოვლას. აღსანიშნავია, რომ საშუალო დღეებში მამაკაცები ორჯერ უფრო ნაკლებ დროს ხარჯავენ მოცემულ საქმიანობაზე,

ვიდრე საშუალოზე, რომელსაც შემოსავალი მოაქვს, მაშინ, როდესაც ქალები ორივე სახის საშუალოს დაახლოებით დროის ერთნაირ რაოდენობას უთმობენ. მთავარი განსხვავება, რასაკვირველია, არაანაზღაურებადი, ანუ შინაური საშუალოს მაჩვენებლებშია – ქალები მას დაახლოებით 6 საათს უთმობენ, მამაკაცები კი – 1 საათსა და 45 წუთს. ანაზღაურებად და არაანაზღაურებად საშუალოზე დახარჯული დროის ჯამი მამაკაცებში 6,5 საათია, ხოლო ქალებში – 7 საათი და 51 წუთი. საერთო ჯამში, ქალები შინაურ საქმეებზე 5-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე მამაკაცები. ქალები, მამაკაცებისაგან განსხვავებით, გაცილებით უკეთ უთავსებენ ერთმანეთს ანაზღაურებად და საოჯახო საქმიანობას, ხოლო მცირეწლოვან ბავშვებზე ზრუნვა საერთოდ მეორე ადგილზე სწევს ანაზღაურებად მოღვაწეობას. უკანასკნელის აღქმა მამაკაცებსა და ქალებში არაერთგვაროვანია, მამაკაცები უპირატესობას ანაზღაურებად საშუალოს ანიჭებენ მაშინ, როცა ქალებისათვის, რომლებსაც 5 წლამდე ბავშვები ჰყავთ, იძულებითი პრიორიტეტი ოჯახური შრომა ხდება. ანაზღაურებადი საშუალო ქალს არ ათავისუფლებს საოჯახო საქმეებისაგან იმდენად, რამდენადაც მამაკაცებს და როგორც წესი, ქალის მიერ შესრულებული საშუალო თავისი მოცულობით გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რომელსაც მამაკაცი ასრულებს. ექსპერტებმა თავიანთ დასკვნებში გამოყვეს არა მარტო ქალის საშინაო შრომის შეფასება დროის საერთო ბიუჯეტში, არამედ დასვეს სახელმწიფო დონეზე მათი აღრიცხვის კონკრეტული ღონისძიებების გატარების საკითხი, კერძოდ, ქალების საპენსიო უზრუნველყოფისათვის.

რუსეთი:

ქმრები რომ თავის ცოლებს გასამრჯელოს უხდიდნენ

დიასახლისები ყოველთვიურად ოჯახს 3 ათასი დოლარის ეკონომიას უკეთებენ

ქალის საოჯახო საქმიანობის შეფასების ორი ვარიანტი არსებობს: საკუთრივ დიასახლისებისათვის და მომუშავე ქალებისათვის, რომლებსაც სამუშაო დღის დასრულების შემდეგ საოჯახო საქმეების კეთება უწევთ. პირველი ვარიანტი – დიასახლისი. თანამედროვე შრომის ბაზრის საზომით მის შრომას სახლში შედარებით ზუსტად შინამოსამსახურის მოვალეობათა ჩამონათვალი ასახავს. ეს არის ქალი, რომელიც ალაგებს, რეცხავს, აუთოვებს, დადის მაღაზიებში და ამზადებს საჭმელს. „არც ერთი შინამოსამსახურე არ დათანხმდება 3-ჯერ დღეში მოამზადოს საჭმელი თვეში 1000 დოლარად. მაგალითად, პროვინციელი გოგონა, რომელიც ოჯახშივე ცხოვრობს და მუშაობს, ამაზე მხოლოდ 1200 დოლარად დათანხმდება და ისიც მაშინ, თუ გაგიმართლებთ“, – ამბობს მოსკოვის საშინაო პერსონალის კადრების სააგენტოს მენეჯერი. ასე რომ, რეალურად ხარისხიანი მომსახურება დაქირავებული შინამოსამსახურისა, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საქმეს აკეთებს, ოჯახს თვეში დაახლოებით 2000 დოლარი დაუჯდება. რაც შეეხება ძიძას, სრული არანორმირებული განაკვეთი ოჯახში ცხოვრებით დაჯდება 1000-1200 დოლარი. ამრიგად, მხოლოდ ეს ორი პუნქტი იძლევა თვეში 3200 დოლარს. მეორე ვარიანტი – მომუშავე ქალი. იგი ბავშვებს მხოლოდ ძირითადი სამსახურის შესვენებებზე ხედავს, ხოლო ბინას დასვენების დღეებში ალაგებს. მისთვის უფრო მომგებიანია საათობრივ ტარიფზე ორიენტაცია. ამ შემთხვევაში შინამოსამსახურის შრომა (დალაგება, რეცხვა, უთობა) ბინის ფართის მიხედვით „ერთ მოსვლაზე“ 750-1200 რუბლი დაჯდება. თუ სახლში ბავშვები და ცხოველები არიან, ფასი მოიმატებს. ამასთან, პროფესიონალები, როგორც წესი, უარს ამბობენ კვირაში ერთხელ დალაგებაზე. მათი აზრით, 7 დღის მანძილზე იმდენი საქმე გროვდება, რომ ვერ მოერევი. „უცოლოების“ ვარიანტი, როცა მარტოხელა მამაკაცის ბინაში დაგროვილი ნაგვის გატანის სპეციალისტი მოდის, დაჯდება არა ნაკლებ 50 დოლარისა ერთ მოსვლაზე. საერთოდ კი შინამოსამსახურეები ოჯახში მოდიან კვირაში 2-3-ჯერ. მათი შეიძლება შეგვეშურდეს კიდევაც: ჩვეულებრივი მომუშავე ქალი ხომ კვირაში ერთხელ, დასვენების დღეებში ალაგებს. ეს კი 200-400 დოლარია თვეში. მზარეულის მომსახურებაში (პროდუქტების შექენით) მომსვლელ შინამოსამსახურეს ერთ ჯერზე კიდევ 500 რუბლი უნდა დაემატოს. მომუშავე ქალისათვის, რომელიც საჭმელს დილა-საღამოს ამზადებს, ეს ყოველთვიურად აუნაზღაურებელი 1100 დოლარის ექვივალენტია. რაც შეეხება ძიძების მომსახურების საათობრივ ანაზღაურებას, აქ ფასთა შორის სხვაობა დიდია: 3-დან 10 დოლარამდე საათში. ყველაფერი დამოკიდებულია კვალიფიკაციაზე, მომსახურების ჩამონათვალზე, ბავშვთა რაოდენობაზე, სამუშაო დროზე, ამბიციებსა და სააგენტოების საკომისიოზე. პროფესიონალი პედიატრი, რომელიც გააკეთებს სპეციალურ მასაჟს, ისეირნებს ბავშვთან და აჭმევს მას,

საათში მინიმუმ 7 დოლარი დაჯდება. ექსპრესძიძა, რომელიც სასწრაფოდ უნდა მოვიდეს და ბავშვებთან დარჩეს, თუ მშობლებს უეცრად საღაცა შეექნათ წასასვლელი, საათში 5 დოლარი ეღირება. ნებისმიერ შემთხვევაში, სტანდარტული ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ „ზედმეტ“ საათებში ამ მომსახურების ტარიფი ორჯერ იზრდება. მაგრამ მომუშავე ქალები ხომ სწორედ ასეთ „ზედმეტ სამუშაო საათებში“ არიან თავიანთ პირმშობებთან. ამიტომაც მათი ვირტუალური გასამრჯელო ლოგიკურად უნდა შეფასდეს საათში 10 დოლარად – თვეში, სულ ცოტა, 2000 დოლარი გამოდის. თუ საჭმლის მომზადებასა და დალაგებასაც დავუმატებთ, მაშინ საოჯახო ფუსფუსი მათთვის თვეში 3300-3500 დოლარი ეღირება. ეს კარგი ხელფასია, მაგრამ მისი გამოთვლისას როგორც დიასახლისებისათვის, ისე მომუშავე ქალებისათვის, ჩვენ არ გავკვირვავართ იმისთვის, სხვა უამრავი საქმე, რომლის კეთებაც მათ უწევთ.



კარგმა ქმრმა იცის, რომ გვერდზე ხელჩაკიდებული მიწის შტატი მოჰყვება: ოჯახის მენეჯერი, მზარეული, ძიძა და აღმზრდელი, დიზაინერი, ფსიქოლოგი, ექიანი, ზოგჯერ ზეინკალი და ელექტრიკოსიც კი.

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო

აშშ:

იდეაში, ისინი უამრავ ფულს შოულობენ

საოჯახო შრომა რომ ანაზღაურებადი იყოს, ამერიკელი დიასახლისები გაცილებით მეტ ფულს გამოიმუშავენდნენ, ვიდრე მათი მომუშავე მეგობრები, ნათქვამია გამოკვლევაში, რომელიც [salary.com](http://www.salary.com). საიტზე გამოქვეყნდა. საქმე იმაშია, რომ სახლში დარჩენილი ქალი, რომელსაც ბავშვები ჰყავს, ერთდროულად „სრული დღის მასწავლებელიც“ არის, მძღოლიც, რომელიც ბავშვებს მეცადინეობებზე დაატარებს ქალაქის სხვადასხვა კუთხეში, სახლის მმართველიც, მზარეულიც, ადმინისტრატორიც, ექთანიც, ფსიქოლოგიც, ასევე ზენკალი, ელექტრიკოსი, დაძაგებელი და ღურგალი. ამიტომაც, ამტკიცებენ მკვლევარები, საშუალო სტატისტიკური დიასახლისის ხელფასი წელიწადში 134 121 დოლარი, ანუ თვეში 11 ათას დოლარზე ოდნავ მეტი უნდა იყოს. ამ გათვლაში შედის არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალისტთა საათობრივი ანაზღაურება, არამედ „ზედმეტი“ საშუალო დროც. დიასახლისის საშუალო დღე ზომ არანორმირებულია. ამიტომაც იგი კვირაში საშუალოდ 91,6 საათს შრომობს, მაშინ, როცა მისი ქმარი, 9 საათიანი საშუალო დღის გათვალისწინებით, მხოლოდ 45 საათს კვირაში. ამიტომაც, სახლში მომუშავე ქალების „ძირითადი ხელფასი“ 45,7 ათას დოლარს შეადგენს, ხოლო „ზედმეტი დროისა“ – კიდევ 88,4 ათას დოლარს.



...ეს რა გამოდის – ყოველ მთვანს ნახევარსაუკუნოვანი ცოლ-ქმრობის შემდეგ შეეძლო საკმაოდ მდიდარი პიროვნება ყოფილიყო? ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო

დიდი ბრიტანეთი:

პრიალა ჟურნალების ზომბების გაწრთვნის სასწაულები

ახლახან დიდ ბრიტანეთში გამოსვლა დაიწყო სატელევიზიო შოუ „სუფთაპოლიკები“ (Cleanaholics). პროგრამაში 27 ქალი და 3 მამაკაცი მონაწილეობს, რომლებიც კამერების მეთვალყურეობის ქვეშ იწყებენ დალაგებას. ასეთი შოუს გამოჩენა შემთხვევითი არ არის, ვინაიდან ნისლიანი ალბიონის მცხოვრებლები მეტისმეტად გაიტაცა სისუფთავემ. სატელევიზიო არხმა Discovery Home and Health („სახლი და ჯანმრთელობა“), რომელიც ახალი შოუს ტრანსლირებას ახდენს, გამოკვლევაც კი შეუკვეთა ბრიტანელების საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული ჩვევების შესახებ. შედეგად აღმოჩნდა, რომ საშუალო ბრიტანელი ქალი სახლის დალაგებას დღეში 2 საათსა და 23 წუთს უთმობს, საკუთარი თავის მოვლას კი – 52 წუთს. ათიდან ექვსმა გამოკითხულმა განაცხადა – დალაგება მათ ეხმარება შეიგრძნონ, რომ „საკუთარ ცხოვრებას აკონტროლებენ“. დაახლოებით ამდენივე ამტკიცებს, რომ ეს საქმიანობა მათ ფსიქიკაზე „თერაპიულ ეფექტს“ ახდენს. გამოკვლევაში მოყვანილი ზოგიერთი მონაცემი შიშსაც კი იწვევს. თითქმის ნახევარმა აღნიშნა თავისი ავადმყოფური დამოკიდებულება დალაგების პროცესისადმი. ამდენივემ განაცხადა, რომ ამჯობინებენ ეს უფრო იშვიათად გააკეთონ. ათიდან 4-მა ქალმა განაცხადა, რომ „უკვე აღარ აკონტროლებენ დალაგებასთან დაკავშირებულ საკუთარ ჩვევებს“. გამოკითხულთა მესამედმა განაცხადა, რომ დალაგება უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებთ, ვიდრე სექსს. რესპონდენტთა 76%-ის რწმუნებით, დალაგებისადმი მათ ავადმყოფურ მიდრეკელებაში დამნაშავე ჟურნალებია, რომლებიც უნაკლო სისუფთავეთ მბრწყინავი ინტერიერების დემონსტრირებას ახდენენ. ინგლისელი ქალბატონების 80% მუდმივად უდარებს ერთმანეთს საკუთარი სახლისა და სხვების სისუფთავეს. 10-დან 6 კი თვლის, რომ თუ მათთან უწესრიგობას ნახვენ, სტუმრები ჩათვლიან, რომ ისინი „ცუდი დედები“ არიან.

სხვათა შორის

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია: ქალები სახლის გარეთაც ნაკლებს გამოიმუშავენ

დიდ ბრიტანეთში ხელმძღვანელი თანამდებობები უჭირავს ქალების 33%-ს, საფრანგეთში – 30%-ს. შვედეთში – 29%-ს, აშშ-ში – 45%-ს.

ახლახან შსო-მ გამოაქვეყნა კარიერისა და ანაზღაურების სფეროებში ქალთა და მამაკაცთა შესაძლებლობების კვლევის შედეგები. დასკვნები სულაც არ არის ქალების სასარგებლო. რატომ? ძირითადად, ეს შეილების გაჩენასა და აღზრდას უკავშირდება – ეს შრომა ძირითადად ქალის მხრებზე გადადის. სახლში დიდხანს ჯდომამ მთლიანად შეიძლება დაუპოს მომუშავე ქალის კარიერა. ნაწილობრივი დაკავებულობაც არ უწყობს ხელს კარიერაში წინსვლას. ზოგ ევროპულ ქვეყანაში საგადასახადო სისტემა ავიღოთ იმ ოჯახებს, სადაც ქალი არ მუშაობს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ქალის ცხოვრების წესი არ შეესაბამება მრავალ ევროპულ საწარმოში გაბატონებულ იერარქიულ კულტურას. ევროპულ ქალთა უმრავლესობას სამსახურის ძებნისას უარით ისტუმრებენ. ახალგაზრდებს ახალ ადგილზე არ იღებენ იმის გამო, რომ მომავალში შეიძლება დეკრეტული შვებულება დასჭირდეთ. საშუალო ასაკის ქალბატონებს უარს უუბნებან იმიტომ, რომ უკვე ჰყავთ შვილები. ასაკოვანი ქალიც კი ვერ ეწყობა სამსახურში – სწორედ მისი ასაკისადმი საწარმოს ხელმძღვანელის დამოკიდებულების გამო.

წყარო: <http://www.newsinfo.ru/news/2006/02/news>

მასალა მომზადებულია თამარ ოვნათანიანის მიერ, სომხეთი

ოქსანა პროკიპიშვილი, ვიქტორ შნიაცი
უკრაინა

კაპიტალიზმის კლანჭები

განსაკუთრებული დანიშნულების ბ ა ზ ა რ ი

ქალების უმეტესობამ, ვინც დღეს ჩვენს ბაზრებში მუშაობს, თავის დროზე უმაღლესი განათლება მიიღო და საკმოდ პრესტიჟულ სამსახურშიც მუშაობდნენ. მაგრამ 1990-იან წლებში ბევრი იძულებული გახდა დამატებითი შემოსავალი ეძებნა და გამოსავლად ადგილობრივ ბაზრებში ვაჭრობა იქცა. თუმცა ამ ადგილების შენარჩუნებაც დღეს დიდი ბრძოლით უწევთ.

საუბარია ტერნოპოლის ბაზრობაზე. 90-იან წლებში იგი ქალაქის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენდა, 2000 წელს კი ადგილობრივმა მთავრობამ გადაწყვიტა ეს ნაკვეთი იჯარით გადაეცა კერძო სტრუქტურებისათვის იმ გარანტიით, რომ ისინი მას „ევრო-სტანდარტების“ დონეზე მოაწყობდნენ. ამ დროს მოგებას გამოდევნებულმა ქალაქის თვითმმართველობამ არ გაითვალისწინა, როგორ იქნებოდა დაცული წვრილ მეწარმეთა ინტერესები. ბაზრის მეპატრონემ საკუთარი წესები შემოიღო. რეკონსტრუირებული „ევრო-ადგილისათვის“ ყოველ მეწარმეს (უმეტესად ქალებს) გარკვეული თანხა მოსთხოვეს. მეპატრონის მადა ყოველწლიურად იზრდებოდა, გადასახადიც მატულობდა და ბოლოს კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. სავაჭრო

ადგილები უზარმაზარი გადასახადებისა და ქრთამების გამო, უბრალოდ, არარენტაბელური გახდა. 230-მა მეწარმე ქალმა დაკარგა სამუშაო.

მაშინ ქალები მიხვდნენ, რომ უფლებებისათვის უნდა ებრძოლათ და შექმნეს ორგანიზაცია „გრომდსკა ალტერნატივა“ (საზოგადოებრივი ალტერნატივა).

მისმა ლიდერებმა – ოლგა ალექსანდროვამ, ოქსანა მულიკმა, ირინა ბურდამ, ლარისა ბელზმა – ბრძოლაში გამოიწვიეს ისინი, ვინც უფრო ძლიერები და მდიდრები იყვნენ. სხვა გამოსავალი მათ, უბრალოდ, არ ჰქონდათ – იძულებულნი იყვნენ დაეცვათ საკუთარი ოჯახის ერთადერთი საარსებო წყარო. როცა პრობლემა ადგილობრივ დონეზე არ გადაწყდა, დედაქალაქში სახელმწიფო სტრუქტურების – მინისტრთა კაბინეტის, უკრაინის პრეზიდენტის სამდივნოს, გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს – პიკეტირება მოაწყვეს... მამაკაცი-ხელმძღვანელების ცინიზმი ყველა ზღვარს გასცდა – ადგილობრივი ბაზრის ადმინისტრაციამ ქალების წინააღმდეგ გამოიყვანა... არმია.

სავაჭრო ადგილების დასარბევად სასწრაფო სამსახურის სამხედროები გამოიძახეს. მაგრამ ამ ქალებმა მშობლიური შეიარაღებული ძალების ზეწოლასაც კი



აი ისინი, „სამოქალაქო ალტერნატივის“ დამფუძნებლები. მათი საქმე სამართლიანია და ისინი გაიმარჯვებენ. სხვათა შორის, ამ საკითხით უკვე დაინტერესდა „საერთაშორისო ამნისტია“.

ფოტო ანდრეი ანდრუსენკოსი, უკრაინა

სხვათა შორის

დონეცკში „ჩელნოკის“ ძველი გაჩნდა

ქალაქის მოსახლეობამ 90-იანი წლების ველური კაპიტალიზმის ხსოვნის უკვდავყოფა გადაწყვიტა. ბიზნესმენი-„ჩელნოკი“ („ჩელნოკი“ – პიროვნება, რომელიც საზღვრის აქეთ-იქით ათასი წვრილმანით ვაჭრობს) ურიკას მიათრევს, რომელიც საქონლით სავესე ჩანთებითაა დატვირთული. თვალებში ნალველია, ჯიბეში – უმაღლესი განათლების დიპლომი. დღეს ამ ძველის შეხედვაზე მეწარმეები შვებით ამოიოხრებენ ხოლმე – დრო, როცა საზღვარზე უზარმაზარი ტვირთი უნდა გადმოეთრიათ, კარგა ხანია, უკან დარჩა. თუმცა, ამის დაფიქვება ჯერ ვერ მოასწრეს.

ძველის გახსნაზე სტუმრად იყო მოწვეული პარლამენტარი ალექსანდრა კუჟელი, რომელსაც მეწარმეები პატივს სცემენ ერთიანი საგადასახადო კანონის ლობირების გამო. სტუმარმა ძველის ავტორებს უსაყვედურა გენდერული უფლებების დარღვევის გამო. „ჩელნოკების“ უმეტესობას ხომ ქალები წარმოადგენდნენ.

წყარო:

<http://utro.ua/news/2006/12/21/32241.shtml>

ნურჟან ტულებაბილოვა

ყირგიზეთი

უხილავი ფრონტის მებრძოლვები

შემომტანის როლი

არ გვათავისუფლებს „კერის დამცველის“ როლისაგან

საოჯახო შრომა – შეუმჩნეველი და დაუფასებელია. მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი წვლილი შეაქვს ეკონომიკაში. მერე რამდენ ჯანმრთელობად, დროდ და ენერჯიად უჯდებათ იგი ქალებს? იქნებ დროა, სახელმწიფო ეკონომიკა ამაზე დაფიქრდეს. აი, რამდენიმე გამონათქვამი ბიშეკეიდან.

მეღეთი, 33 წლის, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი:

– მე შვებულებაში გავედი ბავშვის მოსავლელად და აღმოჩნდა, რომ ეს კოლოსალური შრომაა, რომელზედაც ადრე არც მიფიქრია. ჩემი ცოლი სოლიდურ ორგანიზაციაში მუშაობს და საკმაოდ დიდი ანაზღაურება აქვს. მე მხოლოდ ახლა მივხვდი, რა უზარმაზარი და შეუმჩნეველი შრომაა ქალის საოჯახო საქმიანობა და ბავშვის მოვლა.

ჩემი თანამოსაუბრის მოსმენისას ცოტათი შემშურდა მისი ცოლის და ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა, სანამ მისგან ინტერვიუ არ ავიღე. და სულ ტყუილად – მხოლოდ გული გამიტყდა. აი, რა მოვისმინე:

კიალი, 32 წლის, მუშაობს სოლიდურ ბანკში:

– ჩვენ არჩევანის წინაშე აღმოვჩნდით: ან ჩემი დეკრეტი, ან ჩემი სამსახური. რა თქმა უნდა, მე მეგონა, დეკრეტში გავიდოდი. მაგრამ მეღეთის ხელფასი... თვითონაც გესმის, რამდენს იღებს ჩვენთან მასწავლებელი. და გადავწყვიტეთ, რომ ბავშვს ქმარი მოუვლიდა. მაღლობელი ვარ მისი. თუმცა, ძირითადი ტვირთი მაინც მე მაწევს! სამსახური, მერე საოჯახო საქმეები, ბავშვის მოვლა დასვენების დღეებში... მამაკაცი ხომ ვერაფერს აკეთებს ისე, როგორც საჭიროა და თავსაც არაკომფორტულად გრძნობს, განსაკუთრებით ნაცნობებისა და თანატოლების თანდასწრებით. ამიტომაც ყველაფერს მე ვეზიდები. უფრო მეტად ვიღლები... მაშ,



თუნდაც მილიონი იშოვე, ძვირფასო, მაგრამ დილა-სალამოს სახლისა და ეზოს დაგვა – შენი და მხოლოდ შენი უწმინდესი მოვალეობაა!

ფოტო უბიდა ახმედოვასი, უზბეკეთი

რა ექნა? იგი ხომ მამაკაცია! მართალი ვითხრათ, არ არის კაცის საქმე საოჯახო საქმეები.

დიან, დღეს დაქირავებულ შრომაში ქალების აქტიური მონაწილეობის გამო მრავალი მამაკაცი იძულებულია თავისი როლი შეცვალოს, ისინი ცოლისაკენ, ოჯახისაკენ, შვილებისაკენ ბრუნდებიან. რაც უფრო მაღალია ცოლის ინდივიდუალური შემოსავალი (ქმართან შედარებით), მით მეტია ალბათობა საოჯახო საქმიანობის პარტნიორული განაწილებისა. მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდი ხდება. ამის ნათელი მაგალითია კიალი, რომელიც ოჯახის მარჩენალის როლსაც ასრულებს და ამავდროულად საოჯახო საქმეების ტვირთსაც ის ეზიდება. მაღალი ანაზღაურების დროსაც კი იგი მეტისმეტად ზრუნავს მამაკაცისა და ქალის იმავე სტატუსზე როგორც საკუთარ თვალში, ისე პარტნიორისა და ახლობლების თვალში. გვინდოდა აღგვენიშნა მეუღლეებს შორის ოჯახური შრომის განაწილებაზე მოქმედი სხვა სოციალური ფაქტორებიც.

ულანი, 34 წლის, ქირურგი:

– ჩემთვის ყველაფერი ეს – რომ ქმარი თითქოს „მარჩენალია“ და ცოლი „კერის მცველი“, ცურუნქენაა. ყველაფერი ეს სისულელეა. მე და ჩემი ცოლი ერთმანეთს ვავსებთ. და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გარეცხავს, მოამზადებს საჭმელს, მოუვლის ბავშვს ან ვინ იშოვის ფულს. თუ ჩვენ ოჯახი ვართ, უნდა გავუგოთ და დავცნობროთ ერთმანეთს.

უცხოელი და რუსი მკვლევარების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მეუღლეთა განათლების დონე, შემოსავლის დონე, მეუღლეთა სოციალური სტატუსი, ბავშვების რაოდენობა, გავლენას ახდენს ოჯახში პარტნიორულ ურთიერთობათა დონეზე. რაც უფრო მაღალია მეუღლეებში განათლების დონე და მეუღლის სოციალური სტატუსი, მით უფრო მკაფიოდ არის გამოხატული პარტნიორული განაწილება.

არა მარტო ჩვენთან

წარმატებული კარიერის დანაკარბები

მსოფლიოში გრძელი სამუშაო დღისა და სამსახურში უზომო დატვირთულობის გამო მილიონობით მაღალანაზღაურებადი სპეციალისტი ოჯახის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. ამ დასკვნამდე მივიდნენ გამოკვლევის ავტორები, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ Harvard Business Review-ში. მკვლევარები თვლიან, რომ მათ მიერ აღწერილი ფენომენი მილიონ ადამიანს აიძულებს უარი თქვას მხიარულ ოჯახურ ცხოვრებაზე, ავიწყებს ხანდაზმულ მშობლებთან ურთიერთობას და ბავშვების აღზრდის მოვალეობას. მკვლევართა გამოთვლით, მსხვილი კომპანიების მაღალანაზღაურებადი თანამშრომლების 45% სამსახურში კვირაში 60, 70 ან სულაც 100 საათს ატარებს, სარგებლობს 10-დღიანი შვებულებით წელიწადში ერთხელ და მზად არის გადადოს არდედეგები, ქორწილი, ახლობლების დაკრძალვაც კი, თუ სამსახურში ამ დროს რაღაც მნიშვნელოვანი ხდება. ასეთი სამუშაო გრაფიკი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს

ოჯახურ ცხოვრებას: „ექსტრემალური მუშაკების“ 45%-მა აღიარა, რომ მათ მიერ შერჩეული სამუშაო შეუთავსებელია სრულფასოვან ინტიმურ ცხოვრებასთან და რომ მათ ძალზე იშვიათად უწევთ თავის მეორე ნახევართან ხანმოკლე საუბარს კი. წარმატებულ კარიერისთვის ოჯახებში უკეთესად არც ბავშვთა აღზრდის საქმეა. ყველა გამოკითხული, რომელსაც უკვე ჰყავს შთამომავლობა, აღიარებს, რომ მათი შვილები ძალზე ხშირად უყურებენ ტელევიზორს, არასწორად იკვებებიან და ცუდად იქცევიან სკოლაში. ამავე დროს კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა არავითარ შემთხვევაში არ არის მზად უარი თქვას თანამდებობაზე. გამოკითხულთა 80%-მა განაცხადა, რომ თავიანთი სამუშაო არასტანდარტულად და სტიმულის მიმცემად მიაჩნიათ. პოპულარობით მესამე მოტივი აღმოჩნდა განუსაზღვრელად მაღალი ანაზღაურების შესაძლებლობა. „ექსტრემალური სამუშაო“ ეკონომიკის ყველა სფეროს დამახასიათებელი მოვლენა ხდება, მათ შორის საბანკო საქმესა და ფინანსირებაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, გართობის ინდუსტრიაში, მედიცინაში, იურიისპრუდენციასა და ა.შ. აღნიშნავენ გამოკვლევის ავტორები.

წყარო: <http://www.medportal.ru/mednovosti/new/2006/12/12/job>



ფოტო უმილა ახმედოვასი, უზბეკეთი

ციცინო ჯულუხიძე,
საქართველო
გულგატეხილობა

საკუთარი ადგილი

პატარა პროვინციული ქალაქის ბაზარში ქალი ზის. მუქი თავსაფრიდან ჭადარა მოუჩანს. თვალელებში სევდა ჩასდგომია და კიდევ გაუცხოება – იგი ახლა აქ არ არის. მისი ფიქრები შორსაა ამ უსახური ზის დახლისაგან. დახლი ბაზრის ბოლოშია, ამიტომაც მყიდველიც ცოტაა. გვერდზე ისეთივე ქალები სხედან – ახალგაზრდები, ხანდაზმულები. მთელი დღე ზუზუნებს ბაზარი და ზუზუნებენ მეზობლები – რას არ გაიგონებ აქ. ვინ ვის გაჰყვა ცოლად, ვისმა ძროხამ მოიგო ხბო, ვის ვისი ვალი აქვს... არაფერი კარგი და სასიხარულო. ქალი იშვიათად მონაწილეობს ამ საუბრებში – ასაკითაც უფროსია და თან დევნილიც. მას საკუთარი პრობლემები აქვს, უფრო რთული, ვიდრე სხვებს, ვისაც საკუთარი ჭერი მაინც ახურავს თავზე. ის კი ე.წ. „კომპაქტურ ჩასახლებაში“ ცხოვრობს – ყოფილი სარემონტო სამმართველოს ძველ, ნახევრად-დანგრეულ შენობაში. ამისიც მაღლიერია!..

ერთ დროს (არც ისე დიდი ხნის წინ) იგი საკუთარ ქალაქში ცნობილი მათემატიკოსი იყო. თითქმის მთელი ქალაქი იცნობდა – სოხუმში ხომ არც ისე დიდია, ის კი სკოლაში მუშაობდა. უყვარდა ბავშვები, საკუთარი საგანი და ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ოდესმე თავის სამყაროს დაკარგავდა. მაგრამ ყველაფერი უკან დარჩა. რასაკვირველია, შრომა – კეთილშობილური საქმეა, მაგრამ როცა ეს შრომა სიხარულსაც განიჭებს – ეს უკვე ბედნიერებაა!

ისიც შრომობს – ოჯახი რომ არჩინოს, ზის წვიმაში, ქარში. დევნილობის ცამეტი წლის მანძილზე მხოლოდ ერთი დღე ახსენდება ყველაზე მკაფიოდ. ივნისი იყო, სასკოლო გამოსაშვები გამოცდების დრო. გახსნეს საგამოცდო პაკეტი მათემატიკაში და აი უბედურება: ერთი ამოცანა ისეთი რთული აღმოჩნდა, ვერავინ ამოხსნა, პედაგოგებმაც კი. სწრაფად გავარდა ხმა ქალაქში – როგორ, ვერავინ ხსნის სასკოლო ამოცანას! სირცხვილია და თავის მოჭრა!

უცებ ვიღაცას გაახსენდა, რომ ბაზარში ერთი ქალი ზის, რომელზედაც ამბობენ, კარგი მათემატიკოსიაო. ყველამ ცხვირი აიბზუა: როგორ ამოხსნის ვიღაც ბაზრის მოვაჭრე იმ ამოცანას, რომელსაც განათლების განყოფილებაშიც კი ვერაფერი დააკლეს? მაინც წავიდნენ – დააინტერესათ. და აი, მათ წინ სასწაული მოხდა: დახლთან მოხრილი ქალი უცებ გამოცოცხლდა. მაყურებლები თვალის მიდევნებას ვერ ასწრებდნენ – ციფრები თითქოს დაქროდნენ მისი კალმის ქვეშ, და რამდენიმე წუთში ამოცანა ამოხსნილი იყო. ყველა გაოგნდა. თვალელებს არ უჯერებდნენ, მან კი არც აუხსნა, რა როგორ მოხდა. მერე ჩუმად გადაუხადეს მაღლობა და ასევე ჩუმად გაეცალნენ.

და ეს იყო მისი ერთადერთი ნათელი დღე დევნილობის ცამეტი წლის მანძილზე.

ლუბოვ ს(ო)კ(ო)ლოვა
რუსეთი

სიახლე შრომის ბაზარზე

ემუშაობთ გამოძახებით:

ქალი ავტომობილით და ქმარი ერთი საათით

გენდერული პარადოქსები საყოფაცხოვრებო მომსახურების რეკლამაში

„არა, თქვენ მხოლოდ დააკვირდით, ყველა მამაკაცს ჯერ კიდევ არ ჰყავს ავტომობილი და ამ დროს რამდენი ქალია საჭესთან!“ – ეს ფრაზა ამ ხუთიოდე წლის წინ ერთ სავსებით კულტურულ ადამიანს წამოსცდა. მისი უკმაყოფილება გასაგებია. ათასწლეულების მიჯნაზე რუსეთის საზოგადოების კულტურული ტრადიციების მსხვერველი მორიგი ეტაპი დაიწყო. ეკონომიკას ბოლოს და ბოლოს „დართეს ნება“ ეცხოვრა ბუნების კანონების მიხედვით. მან არსებული გენდერული მოდელის მსხვერველად მიგვიყვანა, დაიწყო სოციალური – მამაკაცისა და ქალის დანიშნულებად წოდებული, როლების გადანაწილება. ბიზნესსაზოგადოების შედარებით მოწინავე ნაწილმა შესძლო საქმისთვის სასარგებლოდ გამოეყენებინა მიმდინარე მომენტის თავისებურებანი.

იდეა ადამა შვა

არსებობს ცნობები, რომ გენდერული პარადოქსების თავისი ბიზნესისათვის სასარგებლოდ გამოყენება პირველად ვინმე მამაკაცმა მოიგონა. მისი სახელი უცნობია, მაგრამ მისი ხსოვნა...

თუმცა, ავტორის მოუხსენიებლად მისი აღმოჩენის გამოყენების მსურველები მრავლად გამოჩნდნენ, ამიტომაც მისი სახელის აღდგენა უკვე ვერ მოხერხდება. გამოგონება უპატენტოა!

ამგვარად, მას საკუთრებაში ჰქონდა ერთგვარი ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომლის ერთ-ერთ მიმართულებას ტაქსით მომსახურება წარმოადგენდა. მაგრამ როგორ გაემარებინა პოზიცია ტაქსისათვის მილიონიან ქალაქში, სადაც მართო არაღეგალები უთვალავი იყო და კონკურენციის დონეც უმაღლესი? ჩვენმა უსახელო გმირმა ქალი მძღოლების ჯგუფი შეადგინა და შესაფერისი სახელიც უწოდა, სადაც ავტო ლექსიკურად ერწყმოდა ღირსეული ქალბატონის აღმნიშვნელს: (ავტო)ლედი, (ავტო)ღამა.

შეხედულება იმ განსაკუთრებული საფრთხის შესახებ, რომელსაც თითქოს წარმოადგენდა ქალი საჭესთან, ოფიციალური სტატისტიკით უკვე გაბათილებულია. მაგრამ ერთგვარი ემში მაინც შერჩა. პირვანდელ მოთხოვნებს, რომელიც უბრალო ადამიანურ ცნობისმოყვარეობას ემყარებოდა, ზურგის გამაგრება ესაჭიროებოდა. ამისათვის წინადადებათა სპეციფიკური პაკეტი შემუშავდა. აქ გენდერული სტერეოტიპები კი არ უნდა დაემსხვრით, არამედ პირიქით, გაემძლიერებინათ. ბავშვების წაყვანა საბავშვო ბაღში და სკოლაში, შემდეგ უკან წამოყვანა. ამ მომსახურებაზე მოთხოვნა დიდია. მაგრამ ვინ ანდობს ასეთ საშუალოს ტრადიციულ ტაქსისტს? ახლა თუ საქმე 15-16 წლის ლამაზი ქალიშვილის წაყვანა-წამოყვანას ეხება?

ლედი(ავტო) ამ შემთხვევაში ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. საკუთარ იმიჯზე მზრუნველი ქმრები მძღოლ ქალბატონებს საკუთარი ცოლების მომსახურებისთვის იწვევენ.

ბანკეტზე შეზარხოშებულ ბატონს მეგობრები სახლში საგანგებოდ შეკვეთილი ქალი-მძღოლის მანქანით და საუკეთესო სურვილებით ამგზავნიან. როცა მძღოლი მამაკაცია, ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ უსურვებ, და მანქანის ნომერსაც იწერენ, ყოველი შემთხვევისათვის. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საჭესთან მსხდომი ქალიშვილები მხოლოდ და მხოლოდ სატრანსპორტო მომსახურებას სწევენ.

ასევე სამართლიანობის გამო უნდა ითქვას, რომ ისინი მზის ქვეშ ადგილის დაკავებით ოდნავ დემპინგსაც ეწევიან, მაგრამ ვერც გაუმტყუნებ. ქალის შრომის შედარებით დაბალი ტარიფით ანაზღაურების ტრადიცია, ვიდრე მამაკაცებისა, ყველა პარადოქსის მიუხედავად, კვლავ ძალაშია.

ავტონომიურ საწარმოს, რომელიც შემქმნელს ტოვებს, შემდეგი ნაკლოვანებები ახასიათებს. ქალები კერძო ავტომობილებს იყენებენ, ამორტიზირება გათვლილი არ არის. კორპორატიული მომსახურება ავტოსერვისში მოგვარებული არ არის. წარმოების საშუალებების საშუალო მოვლა ქმრების მოვალეობაა. ე.ი. გამოიყენება ჩაუთვლელი, აუნაზღაურებელი და ზშირად არაკვალიფიციური შრომა.

ამის ნარჯზე ქალიშვილებს ანაზღაურება უფრო მეტი გამოსდით, ვიდრე ძველი ფირმის ჩარჩოებში. მაგრამ ეს – ფიქციაა. სერიოზული ეკონომიკა ასეთ ცოდვებს ვერ იტანს. ასე, რომ, გოგონებო, ჩვენს შორის თუ ვიტყვით, უნდა ვისწავლოთ და დროზე გადავიდეთ დილეტანტების კატეგორიიდან პროფესიონალებისაში.



ეს სექსისტური იუმორი კი დიდ გზაზე – უბრალოდ, კონკურენტების უღონო შურია...

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო



ასეთი შეიძლება ყოფილიყო ოქროსხელებიანი საათობრივი ქმრების ბირჟა

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა, საქართველო

სასწრაფოდ გვჭირდება მამაკაცი

„შენ ხომ სახლში ლურსმანიც არ ჩაგიჭედებია!“ – ასეთი საყვედური დღემდე არსებობს ორთოლოქსალური სიდედრების და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ზოგიერთი ცოლის არსენალშიც. ის, რომ ქმარს აუცილებლად უნდა შეეძლოს საკანალიზაციო სისტემის შეკეთება, ჩექმების გაახლება და სკამების გარემონტება, შრომის რაციონალურად განაწილების ეპოქაში აშკარა გენდერულ გადმონაშთს წარმოადგენს.

მაგრამ სადღაც, შეგნების სიღრმეში, ჯერ კიდევ ცოცხლობს ოქროსხელებიანი კაცის სახე, რომელიც სწორედ ამ ხელებით ასრულებს თავის მარტივ მეუღლეობრივ მოვალეობებს: აჭედებს, ასწორებს, შეაკეთებს...

სტერეოტიპი „მაღალი ზნეობის“ ოჯახური ურთიერთობების ეპოქაში ჩამოყალიბდა. ამიტომაც განცხადებაში „ქმარი ერთი საათით“ მხოლოდ მეტისმეტად თავისუფალი ქალბატონები ხედავენ სექსუალურ მომსახურებაზე მინიშნებას. სინამდვილეში კი ქმარი ერთი საათით გაცილებით უფრო მიმზიდველია, ვიდრე საბინაოსაექსპლოატაციო სამართველოს ზეინკალი ან შესაბამისი კომპანიის ელექტრიკოსი. „ქმარი“ გულისხმობს სრულ უნივერსალურობასა და რეგულარულ ურთიერთობებს, სააბონენტო გადასახადისა და შესაბამისი ფასდაკლების ჩათვლით. უნდა ვადიაროთ, რომ სახელწოდება თავდაპირველად ზღუდავს ბაზარს, რადგან მომსახურებას ძირითადად მხოლოდ ბავშვებისა და დედისაგან ან ერთი დამოუკიდებელი ქალისაგან შემდგარი არასრული ოჯახებისაკენ ამისამართებს. მართალია, ხსენებული სეგმენტი მატების აშკარად გამოხატულ ტენდენციებს ავლენს, რადგან ცნება „არასრული ოჯახი“ სწრაფად იპყრობს უფლებას ჩაითვალოს ტრადიციულად. დაშვების ჩარჩოები ფართოვდება. დამეთანხმეთ, არაფერი უშლის ხელს ცოლიან კაცს გამოიძახოს ერთსაათიანი ქმარი სიდედრთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად.

სხვათა შორის, პარიზში შოპენ-ბიჭები დაგეხმარებიან

კიდევ რაღაც ახალი შრომის ბაზარზე

ასეთი სურათის მნახველი პარიზის ზოგიერთ მალაზიაში პირდაპირ შეშდები. ტანსაცმლის საკიდებსა და თაროებს შორის ტრუსებიანი მამაკაცები დასეირნობენ და აქეთ-იქით თავის მომსახურებას სთავაზობენ. ცოცხალი მანეკენები სავსებით ჩვეულებრივი მამაკაცების პროპორციებით, რომლებიც უამრავია ბუნებაში, სავანგებოდ ქალბატონებისათვის არის გამოგონილი. ცნობილია, რომ მამაკაცის ტანსაცმლის მალაზიებში მყიდველთა ნახევარზე მეტი სწორედ ქალია. იდეა „შოპენბოის“ ერთ-ერთი ავტორი: „ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ჩემმა მეგობარმა ძალიან ლამაზი პერანგი მაჩუქა, მაგრამ სახელოები მოკლე აღმოჩნდა, თითქმის იდაყვამდე. იძულებული გავხდი მალაზიაში წაგჩანჩალებულიყავი და გამოძეცვალა“. როცა მეგობრების წრეში ეს ისტორია მოისმინეს, აღმოჩნდა, რომ ბევრს ჰქონდა მიღებული საჩუქრად „სხვა ზომა“. და დაიბადა იდეა: რა მოხდება, რომ შეიკრიბოს ყველა ასაკისა და კომპლექციის, უკომპლექსო და კომუნიკაბელურ ენთუზიასტთა ჯგუფი, რომლებიც დაეხმარებიან ქალბატონებს არ დაუშვან მსგავსი შეცდომები. მანეკენზე ხომ ყველაფერი უზადოდ გამოიყურება. მაღალი და დაბალი, სუსტი და ლიპიანი „შოპენბოის“, ანუ „მალაზიის ბიჭები“ სულაც არ ჩამოსულან პოდიუმიდან. ეს ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ამიტომაც მათთან ურთიერთობა გაცილებით სასიამოვნოა, ვიდრე პლასტიკატის კერპებთან. მყიდველისათვის ეს მომსახურება სრულიად უფასოა. შოპენბოიზ – ალტრუისტებია და თავის სამუშაოში ფულს არ ითხოვენ. მაგრამ დღის ბოლოს მალაზიისაგან იღებენ ვაუჩერს, რომელიც შეუძლიათ გადაცვალონ ახალ სვიტრზე ან კოსტუმზე. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სამსახურში მოდიან განდილები და მიდიან ჩაცმულები.

დიანა კპტრიაშვილი
საქართველო

ცხოვრება და საფუღე

ცხოვრება და ლატარეა

კარგია ტყუილა მიღებული ხელფასი –
თუნდაც მცირე, მაგრამ სამაგიეროდ არაფერი არ უნდა აკეთო

ჩვენ თანდათან ლატარიის ვირუსით ვავადდებით – საიდანაც ჩნდება ახალ-ახალი კომპანიები, რომლებიც გაძლიერებულად უწევენ საკუთარ თავს რეკლამას: მიდი, იყიდე ბილეთი, აუცილებლად მოიგებ. მოგება ყველაფრის შეიძლება, არა მარტო მანქანის, ან თუნდაც ტოსტერის, არამედ „ხელფასისაც“. დაახლოებით 300 დოლარი ყოველთვიურად, იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით. მე ერთი რამ ვერ გამიგია – რატომ ჰქვია ამ პრიზს „ხელფასი“ ხანდახან ისიც კი მეჩვენება, რომ სიტყვამ შეიძლება ვილაციის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, ახალგაზრდა შეგნებას ავნოს. ამ შეგნებამ შეიძლება ჩათვალოს, რომ ხელფასის მიღება ისე, ტყუილ-უბრალოდ შეიძლება. მთავარია გაგიმართლოს.

ახლახან რაღაც ახალ გადაცემა-ლატარიას ვუყურე, ხალხს ურეკავდნენ და სთავაზობდნენ რაიმე მოვით პირდაპირ ეთერში. წინასწარ ეკითხებოდნენ, რა უფრო გაუხარდებოდათ და ყველა, როგორც ერთი, პასუხობდა – „ხელფასი!“ პირდაპირ სტუდიაში კი თავს იწონებდა ახალთახალი მანქანა. მე მის ადგილზე მეწყინებოდა. არავის უნდოდა. სწრაფად და უშრომლად გამდიდრების სურვილს ძნელია მართო ჩვენი ეროვნული ნიშანი უწოდო. ალბათ, ეს ყველას აქვს. მაგრამ რატომ უნდა ვწერო მე ინგლისელებზე ან თუნდაც თურქებზე? მე ქართველებზე დავწერ. ქართველებს, ყოველ შემთხვევაში დღევანდელ ქართველებს, ძალიან უყვართ, როცა ყველაფერს ცისფერარშიაშემოვლებული ლანგრით მიაართმევენ.

ყველა ვყვით: „გვიშველეთ! ქვეყანაში უმუშევრობაა!“ ეს უმუშევრობა კი უკვე 15 წელია გრძელდება და მას შევეჩვიეთ კიდევაც. იგი თბილისის სატელევიზიო ანძას ჰგავს: ამბობენ, ერთ დროს არ იყო, მაგრამ ჩვენ რაღაც ვერ ვიჯერებთ, ისე კარგად ჯდება ქალაქის ჩვეულ პეიზაჟში. ჩვენ ვხედავთ ხალხს, რომლებიც ყოველდღე დადიან სამსახურში. ჩვენს საზოგადოებრივ ტრანსპორტში პიკის საათებში ნემსი არ ჩავარდება. ჩვენი გარე ბიძები მაცივრებს ყიდნიან, ხოლო გარე დეიდები სულაც კანონებს წერენ. მაგრამ ჩვენ მაინც ვჩივით – უმუშევრობაა. და გულში ბიძა-დეიდეზე ვბრაზობთ – ბურჟუები! კი არ მოაწყობენ სამსახურში ნათესავებს...

აი, მაგალითად, ჩემი თაობის საშუალოსტატისტიკური ადამიანი. იგი ახლა 25-30 წლისაა, აქვს უმაღლესი განათლების დიპლომი. ჩუმი ინახავს უკვე რამდენი წელია. სამსახურის შესახებ ჰკითხავ და – ხელებს გაშლის – უმუშევრობაა. მერე ამოიხრებს. მერე – ლატარიის ბილეთს იყიდის. რა იცი, იქნებ ხელფასი მოიგოს. ამასობაში ხელისუფლებაც კი აღიარებს ზოგჯერ – კადრები არ გვყოფნისო, ეროვნული, სახელმწიფო მასშტაბის.

უმუშევრობა არის, ვაკანტურ ადგილებს კი მაინც ვერავინ იკავებს. რა გამოდის – არავის უნდა მუშაობა? სამინისტროები და სახელმწიფო დეპარტამენტები ზოგჯერ რეკლამას უშვებენ: ვეძებთ ასეთ და ასეთ კადრებს, რომლებიც ასეთ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. პროკურატურა, მაგალითად, ახლა სამუშაოდ იწვევს მოქალაქე-იურისტებს. მე ერთ ნაცნობს მივაწოდე იდეა. მას გაეცინა: „კი, როგორ არა, უცებ არ მიმიღონ!“ გაეწმდი, ვერაფერი ვუპასუხე – პროკურატურაში არასოდეს მოვწყობილვარ სამუშაოდ, არ ვიცი, რა როგორ არის.

სამაგიეროდ, ოდნავი წარმოდგენა მაქვს არასამთავრობო სექტორის შესაძლებლობებზე. ხანდახან უმუშევარ თანატოლებს კიდევაც ვურჩევ ზოლმე – არის ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, შენ აუცილებლად გამოადგები. მაგრამ დიპლომანი კაცი კვლავ სკეპტიკურად იღიბება: ხელფასი არაა საკმარისი. თუნდაც ოდნავ მეტი იყოს, ვიდრე ლატარეაში გამოცხადებული.

მე გულმოდგინედ ვუყურებ ერთ რეალითი-შოუს – იქ გამარჯვებული 35 ათას ლარს (დაახლოებით 20 ათას დოლარს) იღებს. რასაკვირველია, ცოტა არ არის, მაგრამ არც ისე ბევრია. მაძიებელი 12 კაცია და ყველა მტაცებელი. მოკლედ, ძალზე მცირე შანსი აქვთ. ამ სანახაობის მესამე სეზონისათვის თითქმის მეცნიერული ინტერესი აღმედრა – ვუყურებ ამ უკვე ნაცნობ, თითქმის ახლობელ სახეებს და მათში იმ საზოგადოებას ვხედავ, რომელშიც ვცხოვრობ. აი, გასულ კვირას შოუდან ახალგაზრდა კაცი გავარდა, სახელად ვლასი. მაყურებლებმა (სწორედ ისინი წყვეტენ, რომელი მონაწილე გააბრძანონ) ხმა ვლასის მოწინააღმდეგეს მისცეს. იგი ჯერ ძალიან გაოცდა, მერე კარგა ხანს ბუზღუნებდა: „ამ სულელურ საქართველოში არავის აინტერესებს, რომ ადამიანს სწავლა უნდა!“ გავარდნამდე ცოტა ხნით ადრე ვლასმა თავისი ოცნება გაამხილა – თქვა, რომ 35 ათასი მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა, რათა საზღვარგარეთ ესწავლა. იგი უკვე 28 წლისაა და მთელი ამ ხნის განმავლობაში სწავლისაკენ ისწრაფვის. ძალიან ცდილობს, მაგრამ რატომღაც, თსუ-ს გარდა არსად უსწავლია. თინეიჯერიც არ არის – უკვე 28 წლისაა.

ვლასი ჩემოდანში ალაგებდა თავის ნივთებს, დროდარო კამერისკენ იხედებოდა: „სამწუხაროა, რომ ჩვენთან, ამ სულელურ საქართველოში, არავის ესაქმება, რომ ადამიანს სწავლა სწყურია...“

მაგრამ ერთი რამაა გაუგებარი: ან თვითონ ვლასია სულელი, ან ჩვენ ყველას, მაყურებლებს გვთვლის გიჟებად. ჩვენ, თურმე, ვერ ვხვდებით, რომ მას, არც ისე უნიჭოს, ასჯერ შეეძლო, საზღვარგარეთ სწავლის მისაღებად წასვლა ათობით საერთაშორისო ფონდის დახმარებით, რაკი ასეთი უქონელია, რომ სასოწარკვეთილი რეალითი-შოუში ჩაეჩხირა.

თუმცა, ვლასის გაგებაც შეიძლება – განაწყენდა კაცი ლატარეაზე, არ გაუძარტოლა. თანაგრძნობის მეტი რა დაგვრჩენია.



და მაშინ ვთქვი: დაიბრუნეთ თქვენი ლამაზი მიკროფონი!

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო

ოლგა სიმონენკო
უკრაინა

**ჩვენს შორის დარჩეს,
ჟურნალისტებო**

ბაჟრა

ტელევიზიასთან

**რაც არ უნდა გააკეთო –
ცუდად მუშაობ!**

როცა დიქტორობაზე მეოცნებე თავის დროზე ადგილობრივ ტელესტუდიაში მივედი, ისეთი მიმზიდველი მომეჩვენა! განა შემედლო ჩავწვდომოდი მაშინ უფროსის სიტყვებს: „ტელევიზიაში რომ მოდიხარ, თხოვდები მასზე?“ დიქტორი, მართალია, ვერ გავხელი, სამაგიეროდ ახალი ამბების სამსახურში წავიწიე წინ. თავიდან ეს ძალიან კარგი იყო. ასობით სახე, კილომეტრებით კადრები, მიკროფონები და პროექტორები. ის ხალხი, რომელსაც ადრე მხოლოდ ცისფერ ეკრანზე ხედავდი, ახლა შენი ძირითადი გარემოცვა გახდა. მხოლოდ ერთი „მაგრამ“. როცა ისინი სახლში ან თავისი მაღალი წარმატებების აღსანიშნავად მიდიან, შენი სამუშაო დღე ის-ისაა იწყება. ესევეები მობუზღუნე მძლოლს წაგიყვანოს სადაც, ოპერატორი რომ არ წაიყვანონ, ატყუებ ადმინისტრატორს, რომ ღონისძიება ჯერ შუამდევ არ მისულა, დაბრუნებულს კი ხელმძღვანელობის ნოტაცია გელოდება კომპანიის პოლიტიკისა და იმის შესახებ, რომ საჭიროა ეკონომიურად გამოიყენო ეთერი. მოკლედ, რაც არ უნდა გააკეთო – ცუდად მუშაობ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ გადაღებიდან გამოქვეყნული არც კი ფიქრობ ჭამა-სმაზე, სწრაფად წერ სიუჟეტს, არჩევ მასალას, გამალებით ივონებ შედარებით მისაღებ მიდგომებს მოსაწყენი სიუჟეტისათვის ელჩთან შეხვედრის ან

საფინანსო სამართველოში გამართული ბრიფინგის შესახებ. უნდა შეეჩვიო აზრს, რომ ეს სამუშაო დაუფასებელია! შენს ირგვლივ ყველაფერს ცეცხლი უკიდია, სამუშაო დღე კი არასოდეს მთავრდება. ზოგიერთს

ამით იმუნიტეტი უმუშავდება, ზოგიერთს – სამართლიანობის წყურვილი. ამ დროს ჟურნალისტი ცოფდება. იგი არღვევს კარგი ქცევის ყველა ნორმას და თავხედი და უხეში ხდება, მას შეუძლია შეიჭრას ყველგან. ჩვენზე უარეს დღეში მხოლოდ ოპერატორები არიან – რომლებიც ჩვენ ჩუმაღ... ზოგჯერ ხმამაღლა... ზოგჯერ ჩვენც მათ – როცა მთელი ამ ტანჯვა-წამების შემდეგ აღმოჩნდება, რომ შიშისაგან კამერის ჩართვა დაავიწყდა...

არის სიუჟეტების გარკვეული ტიპი, სადაც ძირითადად ქალ-ჟურნალისტებს უშვებენ – ეს არის მილიცია, პროკურატურა და სამხედროები. ძალოვანებს უყვართ ქალების წინაშე გულის გადაშლა! და არავინ მოელის შენგან, რომ ამ თემაში ერკვევი.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. მთავარი, როგორც მეზღვაურები ამბობენ, სრული შტილის გაძლებაა. ანუ, იმუშაო ახალ ამბებში მაშინ, როცა ახალი ამბები საერთოდ არ გაქვს. დიან, ასეთი პერიოდებიც არის, როცა დამშეული და მოწყენილი ჟურნალისტების ბრბო ოცნებობს მიწისძვრაზე თუ არა, პატარ-პატარა პოლიტიკურ სკანდალებზე მაინც.

მოკლედ, ჩემმა სუსტმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო. სწორედ მაშინ გამასხენდა უფროსის სიტყვები „გათხოვების შესახებ“. და გადავწყვიტე, რომ ცალმხრივი ქორწინება ტელევიზიასთანაც კი – ძალზე მავნებელია. დავანებე თავი ამ მშვენიერ შრომას. ახლა სამართალდამცავ ორგანიზაციაში ვმუშაობ.

მარინა მაქსიმოვა,
ესტონეთი
ეკონომიკა და ფსიქოლოგია

ოქროს გალია თუ მწვანე ტოტი?



ოთხმოცდაათიანი წლების ბოლო. წიგნების მღაზია. ფსიქოლოგიის სტენდს ვათვალისწინებ. ლამაზი, ტან-წერწეტა ქალიშვილი შემოდის. იგი უყოყმანოდ იღებს წიგნს და სალაროსთან მიდის. სათაურის შემწნევას ვასწრებ: „როგორ გავყვეთ ცოლად ახალ რუსს?“ აი, ეს მესმის, გავიფიქრე ჩემთვის. ისინი ჯერ არც კი გამოჩენილან, წიგნი კი უკვე დაიწერა.

გადიოდა წლები. ჩვენში სულ უფრო მეტი მდიდარი მამაკაცი ჩნდებოდა. ისინი მდიდრდებოდნენ და ლატაკდებოდნენ, ცოლს ირთავდნენ და ეყრებოდნენ, აარსებდნენ ახალ ფირმებს და ხურავდნენ ძველებს, დადიოდნენ აგარაკებზე, ყიდულობდნენ უძრავ ქონებას, დადიოდნენ სამორინეებში. ფსიქოლოგებთან მიღებაზე კი დაიწყეს მოსვლა მათმა პირველმა, მეორე და მესამე ცოლებმა, საყვარლებმა და საცოლეებმა. და მათზე რომ წიგნი დაიწეროს, ასე უნდა ეწოდოს: „როგორ გადავრჩეთ და შევიწინარჩუნოთ თავისთავადობა, როცა მდიდრის ცოლი ვხდებით“.

ცოტა არაა ისეთი ოჯახი, სადაც ფული მარტო ქმარს შემოაქვს, ცოლი კი საოჯახო საქმეებს უძღვება, უცხოის ბავშვებს, სახლს და ბაღს. გარეგნულად ასეთი ოჯახი სავსებით რესპექტაბელურად გამოიყურება. ცოლი, ალბათ, ყველაფრით კმაყოფილი უნდა იყოს. აბა რა – მას ხომ ასე გაუმართლა. არ არის საჭირო ყოველდღე სამსახურში სიარული, იმაზე ფიქრი, როგორ იმოგვოს ფული. და მხოლოდ ქალმა იცის ქმარზე თავისი დამოკიდებულების ზომა. დიახ, მას შეუძლია ისარგებლოს მანქანით, სახლით, ფულით. მაგრამ ხშირად ითვლება, რომ ეს იმის პირადი საკუთრებაა, ვინც შეიძინა. მისი შრომა კი ოჯახში ცოლის უშუალო მოვალეობად განიხილება და დაბალი შეფასება აქვს. აღსანიშნავია, რომ ძალიან ხშირად თვითონ ქალიც იწყებს საკუთარი თავის აღქმას თითქმის მუქთახორად, რომელიც კისერზე აზის „მარჩინალსა და მშოვნელს“. არსებობენ ქმრები, რომლებსაც მოსწონთ, რომ სულ მცირე თანხისთვისაც კი ცოლებმა ყოველთვის მიმართონ. მანიპულაციის უამრავი საშუალება არსებობს. ერთის მხრივ, აგრძნობინებს, რომ მის გარეშე იგი არავის და არაფერს წარმოადგენს. მეორეს მხრივ, თუ დამცირებისაგან დაღლილი ქალი განაცხადებს, რომ სამსახურს მოძებნის, ქმარი სასტიკ პროტესტს გამოთქვამს: სახლში სიმყუდროვე არ იქნება, ბავშვები დაზარალებიან, და ოჯახის სტატუსიც ისეთია, შეუძლია არ იმუშაოს. სასწავლებლად წასვლის სურვილიც მკვეთრ წინააღმდეგობას იწვევს: თავად სწავლასაც და მანქანით ქალაქში სიარულსაც, თუ ოჯახი ქალაქგარეთ ცხოვრობს, ფული დასჭირდება. ამგვარად, ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაციები იქმნება: მზა-



რა სჯობია? გქონდეს ყველაფერი, ბედნიერების გარდა, – თუ არ გქონდეს არაფერი, თავისუფლების გარდა? ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო

მზარეულზე მცხოვრები და მატერიალურად უზრუნველყოფილი ქალი მოწყენილია, რადგან ვერ ვითარდება და ვერ ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას, როგორც პიროვნება. ფსიქოლოგს იგი მიმართავს, როგორც წესი, ფსიქომატური სიმპტომებით ან დეპრესიით. და მხოლოდ ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ხვდება, რა არის ასეთი მდგომარეობის მიზეზი.

მდგრადი ცოლ-ქმრული ურთიერთობები ძნელად ექვემდებარება კორექციას. ამიტომაც ახალგაზრდა ცოლი თავიდანვე უნდა დაფიქრდეს შემდეგზე: რა დგას ქმრის სურვილის უკან, გაათავისუფლოს სამუშაოსგან ან სწავლისგან? საბედნიეროდ, რაღაც ძვრები მამაკაცთა ცნობიერებაშიც ხდება. დიახ, ბევრი მათგანი კმაყოფილების გრძნობას განიცდის, როცა გვერდზე დამოკიდებულ ქალს ხედავს. რაღაც დონეზე ეს ძალზე მოსახერხებელია. მაგრამ ბედნიერი ოჯახი ასეთ ქალთან ვერ ექნება. მდიდარი მამაკაცების სულ უფრო მეტ რიცხვს ესმის ეს და მზად არის იმის ნაცვლად, რომ ჩიტი ოქროს გალიაში ჰყავდეს, იგი მწვანე ტოტზე შესვას. დაე, გაიხსენოს, რომ ერთ დროს ფრენა და სიმღერა იცოდა. თავად ისწავლოს საკვების მოპოვება.

თინიკო მჭამანაძე,
საქართველო
სულ მცირედი

ყველა ჩემმა ნაცნობმა ქალმა

ყველაფერი იცის



...ტორტების ცხობა, სატვა, ლურსმნების ჩაჭედება... და ერთდროულად რამდენიმე დოლზე დაკვრა!
ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო

მათ შეუძლიათ მოამზადონ სადილი ოცი კაციანთვის და გამოაცხონ სამსართულიანი ტორტები, შეაკეთონ უთოები და ჩააჭედონ ლურსმნები, მიიღონ მშობიარობა და დაამუშაონ ჭრილობა... მათ შეუძლიათ ნამცეცა ხელფასი მთელ თვეს გააწვდინონ და ამავე დროს სულ ახალი მანიკური ჰქონდეთ. ისინი აგვარებენ კონფლიქტებს მეზობლებთან, დიპლომატიის საოცრებების დემონსტრირებას ახდენენ უკმაყოფილო დედამთილებთან, ეფექტურად უდგანან მხარში მეუღლეებს წარუმატებლობისა და ჩავარდნების დროს. მათ არ იციან მხოლოდ ერთი რამ: ირწმუნონ საკუთარი ძალების.

და უნდა ვაღიაროთ, რომ ამაში მარტო ისინი არ არიან დამნაშავენი. მათ დაბადებიდანვე უტენიდნენ თავში, რომ დამხმარე არსებები არიან, რჩეულების – მამაკაცების კომფორტის შესაქმნელად გაჩენილნი. ჩემმა მეგობარმა კონსერვატორია დაამთავრა, მისი სულითვის მუსიკა ჰაერია. მას ოთხი შვილი ჰყავს – ერთი ერთმენეთზე პატარა, მკაცრი ქმარი, სვანი მამამთილი და დედამთილი და ნაირ-ნაირი ნათესავების მთელი შენაერთი. და ყველა არწმუნებს იმაში, რომ მისი მოწოდება – მხოლოდ-დამხოლოდ ოჯახია. მაგრამ ნიჭი, როგორც ცნობილია, თავს არ იმაღავს. ჩვენს სიმღერას ვერ ჩაახშობ, ვერ მოკლავ! და ჩემმა მორჩილმა თათამ პირდაპირ სახლში მოყვარულთა გუნდთან დაიწყო მეცადინეობა. თავიდან – უფასოდ, მერე მადლიერი მოწაფეები აღშფოთდნენ

და თითქმის ძალად დაუნიშნეს ხელფასი. მის ბიზნესს მთელი ოჯახი კრიტიკულად და ბოლმით უყურებდა. არავის მოსვლია აზრად, რომ მასაც სჭირდებოდა მხარდაჭერა და წახალისება, მისი ნიჭისა და წარმატებების რწმენა ახლობელი ადამიანებისგან. მაგრამ თათა მაინც აკეთებს თავის საქმეს და თავის გუნდთან ერთად უკვე დისკიც ჩაწერა: ეს ნამდვილი მუსიკაა, ბროლის ჰარმონიით სავსე. და მე მჯერა: იგი ბევრს მიაღწევს. მაგრამ როგორ მოვიპოვოთ პატივისცემა? როგორ შთაგუნერგოთ ყველას ირგვლივ, რომ ქალს ისედაც უჭირს თვითშეფასების შენარჩუნება სათანადო დონეზე, და რომ ნებისმიერ წვრილმანს შეუძლია კალაპოტიდან ამოგვადოს?

კიდევ ერთი ჩემი ნაცნობი – ნამდვილი ბიზნეს-ქალბატონია. გონება კარგად უჭრის, მაგრამ მხოლოდ

იმ საკითხებში, სადაც ციფრები და აბსტრაქტული ობიექტები ფიგურირებენ. კარიერას იოლად იკეთებს და მასზე, როგორც სპეციალისტზე, მოთხოვნილებაც ღილია.

იგი გათხოვდა და ორი შვილი გააჩინა. საკმაო გასამრჯელოს იღებს იმისათვის, რომ ბავშვებს სადღეღამისო ძიძამ მიხედოს, და საერთოდ, თითქოს ყველაფერი წესრიგშია.

მაგრამ ხომ გრძნობთ: სადღაც მაინც უნდა გაწყდეს. არ არსებობს ასეთი მომაჯადოებელი სურათი!

მართალი ბრძანდებით, გაწყდა კიდევაც: ქმარმა მიატოვა.

თავი დავანებოთ ახლა სულმოკლე მამაკაცებს: საუბარი მათზე არ არის. საუბარი იმაზეა, რომ ეს წარმატებული ბიზნეს-ლედი, რომელიც იოლად ხელმძღვანელობს ასობით ხელქვეითს, უძლური აღმოჩნდა ნათესავების საბრალოდებო განაჩენის წინაშე.

– რას გავხარ, განა შენ ქალი ხარ ამის შემდეგ? – არწმუნებს დედა.

– შენ არ გეხერხება ურთიერთობების მოგვარება ოჯახის შიგნით, იმიტომ, რომ შენი მშობლები გაყრილები არიან. – ეს უკვე დედამთილია.

რას ეუბნება ქმარი, ამაზე გულომწყალედ არაფერს ვიტყვით – ისედაც გასაგებია, რომ არაფერს კარგს.

ქალები მთელი ძალებით ისწრაფვიან სისრულისაკენ. მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია სიმადლეზე ყოფნა – ამდენი ათასწლეულის განმავლობაში ჩამწვედულობის შემდეგ. არ ვითხოვთ, ბატონო, ჩვენს ნაცვლად სადილის კეთებასა და პატარების მოვლას! ჩვენ თვითონ გავხვერეთ კედელს ბურღით ჩვენივე დახატული სურათის ჩამოსაკიდებლად.

სანაცვლოდ მხოლოდ ერთი პატარა თხოვნა გვაქვს: შეგვიჩვენეთ ჩვენი წარმატებები.

ნომერზე მუშაობდნენ:

გალინა პეტრიაშვილი (რედაქტორი), საქართველო;
თამარ ოვნათანიანი, სომხეთი;
ნურჟან ტულეგაბილოვა, ყირგიზეთი;
ოქსანა პროკოპჩუკი, ვიქტორ უნიატი – უკრაინა;
ციცინო ჯულუხიძე, საქართველო;
ლუბოვ სოკოლოვა, რუსეთი;
დიანა პეტრიაშვილი, საქართველო;
ოქსანა სიმონენკო, უკრაინა;
ჰარდა როოსნა, ესტონეთი;
თინათინ მჟავანაძე, საქართველო

ფოტო:

დიანა პეტრიაშვილი, საქართველო;
უმიდა ახმედოვა, უზბეკეთი;
პოლინა მილორადოვიჩი, საქართველო;
ანდრეი ანდრუსენკო, უკრაინა

დიზაინი და დაკაბადონება:

ასოციაცია „გენდერმედიაკავკასია“ (საქართველო)
დიზაინ-ჯგუფი

თარგმნა:

ციცინო ჯულუხიძე

ჟურნალი **კ@კვანია** გამოდის



მხარდაჭერით

**საერთაშორისო კოალიცია
კავკასია**

რედაქცია არ არის წინააღმდეგი ჟურნალის გავრცელებისა ან ცალკეული ტექსტებისა და ილუსტრაციების გამოყენებისა – მხოლოდ გამოცემისა და ავტორის აუცილებელი მითითების პირობით



**ჟურნალისტთა ასოციაცია
გენდერმედიაკავკასია
GMC**

www.gmc.ge

<http://spaces.msn.com/GMC-Georgia/>

საქართველო, 0103, თბილისი, იორის ქ.№17
ტელ./ფაქსი (995 32) 77 60 18; (995 99) 90 11 24

galapet@ip.osgf.ge გალინა პეტრიაშვილი
cicoju@rambler.ru ციცინო ჯულუხიძე